საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფორმირება

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, როგორც წესი ძირითად სპეციალობას (არანაკლებ 180 კრედიტი), დამატებით სპეციალობას (არანაკლებ 60 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტს;
- ძირითად სპეციალობას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროს, ხოლო დამატებითი პროგრამისა და თავისუფალი კონპონენტის არჩევა ხდება სწავლის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სემესტრში. არჩევანი თავისუფალია და ხორციელდება სტუდენტის სურვილის შესაბამისად;
- რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის (სამართალმცოდნეობა, დაწყებითი განათლება, დიპლომირებული მედიკოსი/სტომატოლოგი) არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპონენტების გამომუშავებას.

სტუდენტის დატვირთვა და სემესტრები

- კრედიტი-ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვის მოცულობას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან;
- ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტის დატვირთვა 8 სემესტრის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 240 კრედიტს;
- დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დატვირთვა 12/10 სემესტრის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 360/300 კრედიტს;
- სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი);
- დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს კრედიტების შესაბამისი რაოდენობის შესასრულებლად უფლება ეძლევა აირჩიოს სასწავლო კურსები არაუმეტეს 40 კრედიტისა.

შიდა მობილობა

- აწსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის აქტიურია ან შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
- შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები,რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლება:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართვის შეუძლებლობა;
გ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
დ)სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;
ე) ფინანსური დავალიანება ან დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოებები;
ვ) სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლება:

ა) სტუდენტის მიერ სწავლების შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
ბ)პირადი განცხადება;
გ) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
დ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერ ათვისება;
ე) მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე კომპლექსურ საკვალიფიკაციო გამოცდის სამჯერ ჩაუბარებლობა;
ვ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის განკუთვნილი სწავლების ნორმატიულ ვადას (ბაკალავრიატი - 8 სემესტრი, ერთსაფეხურიანი პროგრამა „სამკურნალო საქმე“ - 12 სემესტრი, ერთსაფეხურიანი პროგრამა „სტომატოლოგია“ - 10 სემესტრი, მაგისტრატურა - 4 სემესტრი, დოქტორანტურა - 6 სემესტრი, მასწავლებლის მომზადების პროგრამა - 2 სემესტრი, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა - 2 სემესტრი) დამატებული ორი სემესტრის გასვლის შემდეგ, სწავლების შესაბამისის საფეხურის დაუსრულებლობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელების სურვილის გამოუხატველობა და ახალი ხელშეკრულების გაუფორმებლობა.

სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:
ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
ბ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მეცნიერულ კვლევაში;
გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
ე) საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა;
ვ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები.

აწსუ-ს სტუდენტი ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;
ბ) დაიცვას შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას;
დ) დაიცვას კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

დამატებითი სემესტრი

- სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი,უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში;
- სტუდენტი დამატებით სემესტრში იხდის სწავლის საფასურს, რომელიც გამოითვლება ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის პროპორციულად.

სტუდენტის შეფასების წესი

- დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს. ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 51%-ს
- სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა:
(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51- 60%;
(FX) ვერ ჩაბარა - მაქსიმალური შეფასების 41- 50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.
თუ სასწავლო კურსის შეფასებას ახდენს რამდენიმე გამომცდელი, საბოლოო შეფასება გამოითვლება მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულით.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

საუნივერსიტეტო საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტი.

დიპლომი/მოწმობა

- აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ;
პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

2017-2018 SASWAVLO WLIS AKADEMIURI KALENDARI

18.09.2017 - 14.01.2018 - I SEMESTRIS SASWAVLO PERIODI
06.11.2017 - 12.11.2017 - SUALEDURI GAMOCDA
01.01.2018 - 07.01.2018 - SASOBAO ARDADEGEBI
15.01.2018 - 25.02.2018 - SAGAMOCDO SESIA, SALIKVIDACIO PERIODI/ZAMTRIS SKOLA
26.02.2018 - 17.06.2018 - II SEMESTRIS SASWAVLO PERIODI
16.04.2018 - 22.04.2018 - SUALEDURI GAMOCDA
18.06.2018 - 19.08.2018 - SAGAMOCDO SESIA, SALIKVIDACIO PERIODI/ZAFXULIS SKOLA

აწსუ-ში წარმატებით ფუნქციონირებს **„სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები“**, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევთ როგორც წერილობით, ასევე თავიანთი პირადი კორპორაციული ელექტრონული ფოსტიდან (სახელი.გვარი@atsu.edu.ge), რომელიც სავალდებულოა ჰქონდეთ, განცხადებით მიმართონ (info@atsu.edu.ge) უნივერსიტეტის რექტორს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, დეკანს ან სხვა უფლებამოსილ პირს. განცხადების მიღების შემდგომ "სტუდენტური სერვისები" უზრუნველყოფს დოკუმენტთა ელექტრონულ ბრუნვას.
„სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების“ თანამშრომლებისგან სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია სხვადასხვა საუნივერსიტეტო საკითხთან დაკავშირებით, ისინი ეხმარებიან მათ პირადი კორპორაციული ელ.ფოსტების გამართულად ფუნქციონირებაში, რომ შეძლონ ყოველდღიურად მიიღონ საჭირო ინფორმაცია, დარეგისტრირდნენ ელექტრონულ კურსებზე (მისამართი:oc.atsu.ac.ge), გაეცნონ სალექციო მასალებს, ჩაბარონ შუალედური თუ დასკვნითი გამოცდები და ა.შ.

აწსუ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ არაერთ ევროპულ საერთაშორისო **გაცვლით პროგრამაში**. გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ:
http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=85&Itemid=217

QALAQI QUTAISI

TAMAR MEFIS Q. #59
KORP. I, II, III, IV

 კორპ. I, II, III, IV
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი - I კორპუსი, №1203 აუდიტორია - (0431) 24-39-37
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი - III კორპუსი, №3307 აუდიტორია - (0431) 24-38-42
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი - II კორპუსი, №2401 აუდიტორია - (0431) 24-35-32
პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანატი - II კორპუსი, №2406 აუდიტორია - (0431) 24-05-16
მედიცინის ფაკულტეტის დეკანატი - XI კორპუსი, №306 აუდიტორია - (0431) 22-34-44
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანატი (ახალგაზრდობის გამზ. №98) - VII კორპუსი, №213 აუდიტორია - (0431) 24-48-74
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანატი (ახალგაზრდობის გამზ. №98) - VII კორპუსი, №223 - (0431) 23-41-54
აგრარული ფაკულტეტის დეკანატი (შერვაშიძის ქ. №53) – (0431) 27-77-66
საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანატი (ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №11) – (493) 22-11-08

I კორპუსი
რექტორის მისაღები - №1101, (431) 24-21-73
მწვანე დარბაზი - №1103
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მისაღები - №1104, (431) 24-53-45
რექტორის მოადგილის მისაღები - №1108, (431) 24-44-95
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - №1109, (431) 24-00-33
სასწავლო პროცესების მართვა - №1110,(431) 24-12-93
მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახური - №1111, (431) 24-00-36
კანცელარია - №1112, (431) 24-68-42
უწყვეტი განათლების ცენტრი -№1119, (431) 24-58-89
გამოცდების ორგანიზებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორი - №1128, (431) 24-49-45
სტუდენტური თვითმმართველობა - №1130, (431) 25-00-59
მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია - FABLAB ATSU - №1131
კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი - №1138, (0431) 25-28-76
საქტო დარბაზი - №1206
სამკითხველო დარბაზი - №1207
ინტერნეტ ლაბორატორია - №1211
გეოლოგიის მუზეუმი - №1228

II კორპუსი
ბიბლიოთეკა - №2101
ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური - №2301

IIბ კორპუსი
ამერიკის შესწავლის ცენტრი - (431) 25-02-10
ბიბლიოთეკა - (431) 24-02-87

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

GZAMKVLEVI BAKALAVREBISATVIS

2017-2018 SASWAVLO WELI

ჭავჭავაძის ქ. №21
ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტი
ბიბლიოთეკა - (431) 22-58-93

შერვაშიძის ქ. №53
ბიბლიოთეკა
სამედიცინო კაბინეტი - (431) 27-40-53

III კორპუსი
არქივი - №3105, (431) 25-03-86
სამედიცინო კაბინეტი - №3107
გამომცემლობა - №3108, (431) 24-00-21
სამხედრო აღრიცხვის განყოფილება - №3110, (431) 22-12-07
საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური - №3112, (0431) 25-01-81
იურიდიული სამსახური - №3116
გოეთეს საინფორმაციო ცენტრი - №3301, (431) 24-54-65
ენების შემსწავლელი კურსები - №3302, (431) 24-62-77
სასტუმრო - №3401
ენათა ცენტრი - №3410, (431) 24-00-32
საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური - №3504, (431) 24-57-84

IV კორპუსი
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური - №4101, (431) 24-51-72

ახალგაზრდობის ქ. №98
კორპ. VII, VIII, IX, X, XI, XII, XIV, XV, XVI
ახალგაზრდობის II შეს. №24 კორპ. XIII
XI კორპ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
XV კორპ საერთო საცხოვრებელი (კამპუსი)
XVI კორპ. სპორტული მანეჟი
ბიბლიოთეკა

SAKONTAQTO INFORMACIA:
Q. QUTAISI, 4600,
TAMAR MEFIS Q.#59,
TEL: (431) 24 48 29; 24 00 33; 24 00 36
VEB-GVERDI:www.atsu.edu.ge
EL. FOSTA:atsu@atsu.edu.ge
facebook: AkakiTsereteliStateUniversity



AWSU
SERVASIZIS Q. #53

AWSU
TAMAR MEFIS Q. #59

AWSU
WAVWAVAZIS Q. #21

AWSU
AXALGAZRDOBIS Q. #98
AXALGAZRDOBIS II SES. #24